ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2947692

ნომერი: AR1455898

თარიღი : 11.11.2016

გაცემის თარიღი : 16.11.2016

გაცნობის თარიღი : 16.11.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პუშკინი , N 15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გიორგაძე პ/ნ 01015012102
- თბილისი ვ.გორგასალის ქ. N 37 ბ. 60

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოდგენილი იქნეს:

- ზუსტი განმარტება ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ და შესაბამისი საპროექტო ვარიანტი. მოთხოვნის ტექსტში საუბარია მხოლოდ სარეკლამო მოცულობითი ასოების მონტაჟის შესახებ, თუმცა წარმოდგენილ ფოტომონტაჟზე ვიტრინებზე ასევე ნაჩვენებია გარკვეული სამუშაოები. სარეკლამო აბრების მოწყობის გარდა სხვა სამუშაოების განხორციელების შემთვევაში, საჭიროა დამატებული იქნეს შესაბამისი ნომენკლატურა
- ფოტომონტაჟი შენობის ფასადის განშლაზე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად (ოქმი N44, 03.10.2016წ.)
- განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტრუეებელი საბუთი და საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის თანხმობა (შესაბამისი ფორმით დამოწმებული)
- არ არის დაცული „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, "რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე", ხოლო ამავე მუხლის 2' პუნქტის თანახმად, "საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო სურვილის შემთხვევაში იგი შეიძლება შესრულდეს აგრეთვე უცხოურ ენაზე. უცხოურენოვანი წარწერა ზომით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას"

სამსახური დაუბრუნდება საკითხის განხილვას სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.